

დიმიტრი სააკაძეს მიერ მოწერილი თავადისა დიმიტრი გიორგის-ძის ბაგრატიონისადმი

ბარათი ბ

პრესნას გახლავარ, უთქვენოდ პირი ვერ ვნახე მზისანი,
ვიკითხავ თქვენსა ლალასა, ცნობა არა მაქვს სხვისანი,
მე ხომ აღარვინ მიკითხვენ მონები თქვენი სრისანი,
ვიცი. უთუოდ დაგვიწყდი. ამას არ უნდა მისანი.
ბედმან მიყო ყველაკაი, მოგახსენო ახლა მე რა,
ველარ გნახე ლხინად მჯდომი. ეტლი ასე დამემტერა,
დავით გახლავსთ, ეგ შეგაქცევსთ, მესმის, იცის ჩანგთა
მღერა.

ღმერთმან ქნას, რომე ეწივნეთ თქვენის გონების წადილსა,
მტერზედ ამაყად ყოფნასა, ამათზედ დიდად ქადილსა:
ვიქმნები მაშინ მამაცად, მათ გაუარმებ სადილსა,
როცა ვეწევი ამასა, მე მაშინ შევიქმ ხადილსა
მესმის სიკეთე, სიუხვე და მორთვა თქვენის სრებისა,
შორს მიიწივა ამბავი, სიქველე თქვენის ქებისა,
მინდა გიახლო. პატრონო. მეშინის თქვენკენ რებისა,
დრამც გამიწყრეთ, იწყინოთ, ძალი არა მაქვს თნებისა.
გავიგონე: "კვანჭახადემ იპოვაო მისი რაშია,
სრულ შეიძრა ოთხივ ყურე, ემზადება, მივა ჯარში,
შეკაზმა და ზედა შესჯდა, გასწივაო ცოტად თავში,
უშლის მამა გმირობასა, გამოაგდო მისთვის კარში.
თქვენი მოგვესმა, პატრონო, შექმნილხართ ფარმაზონია.
ზოგთა სთქვეს. "არის მართალინ და ზოგთა არა ჰგონია.
ქრისტეს უარისმყოფლობა მე თქვენგან არა მგონია,
თუ მართალია, მოიქეც, სხვა მეტი არა ღონია.

**თავადს დიმიტრი გიორგის-ძეს ბაგრატიონთან
მოწერილი მისივე თ. დიმიტრი სააკაძეს მიერ**

ბარათი დ

პრესნაში ყოფნა გებრძანათ, ნახვა დარბაზის ხულისა,
წირვის მოსმენა ხშირ-ხშირად, ცხოვნება ბოლოს სულისა,
ჩემთვის საჯაბნე გეზრახათ, მე ამან გამაგულისა,
მანდ არვინ გახლავსთ მამაცი, არც ვინმე მცოდნე სჯულისა

მე უგუქნური არ გახლდი, მაგრამ აწე ვარ ხელია,
დილევი ზანგრძლივ ჯდომითა სრულ ცნობა გამომელია,
დღეს გავემართნე პრესნაში, მაგრამ ღაწვნი მაქვს სველია,
ვერვინ რას მარგებს დასტურად: ვერც მოსე, ვერცა ელია

ბარათი ე

მიწყივ მზრუნავმან სოფელმან, მიმუხთლის, რაც რომ ვინები,
ვთქვი: მარგარიტი მოვიმკო, ბოლოს ხელთ დამრჩეს მინები,
მე აღარცა რას მოველი, არცა მაქვს მოსალხინები,
წარსრულვარ, გამოგსალმივარ, ღმერთმან თქვენ მოგცეს
ლხინები.

პრესნაში ყველა დაჯაზნდა, მანდ ხომ ლომთა გაქვსთ
ყრილობა,

როსტომის მსგავსად ომშია მრავალჯერ გამოცდილობა,
ღმრთისმეტყველების სკოლაში ბაასი, ყოვლთვის ცილობა,
თქვენ ლხინი, შვება, შექცევა, ჩვენ ღაწვთა ცრემლთა მილობა.
ერთხელ მეც გახლდი მამაცი, ჩემთა მებრძოლთა მზარავი,
შორით მომცემდნენ სალამსა, ქარი მიქროდა არავი,
პატრონის სამსახურზედა მსწრაფლი და დაუზარავი,
ბოლოს მიმუხთლა სოფელმან, გამხადა გაუზარავი.

ბარათი ვ

ვეღარ გახლავარ, პატრონო, ვეღარ ვჭამ თქვენთან სუპებსა,
აღარვინ მიწდევს ტკბილ ღვინოს, არც მიდგმენ "სირჩა-
რუნკებსან

,კაპუსტასან ვკებ, შეშას ვჭრი, ვიზახი ეპი-უპებსა,
სიბერით დასუსტებული, ცრემლსა ვღვრი ღაპა-ღუპებსა.
აღარც შეშა მაქვს, ზამთარმან წამომაცარა ბუქია,
გაჭირვებაში სიმხნე ჰხამს, რუსთველსაც ასე უქია,
ეს სწავლა მისთვის კარგია, ვინც უფრო ყმა-ჩაუქია,
არ ჩემებრ მოხუცებულსა წარსვლოდეს სიყმის შუქია.
ფერხთაც არ შემრჩა, რაღა ვქნა, თქვენი წყალობა ნალები,
დავხედავ, შოვნა არ ძალმიძს, ცრემლით მევსება თვალები.
ჩულიც არა მაქვს საზამთროდ, გულსა მედება ალები,
ნახეთ, სოფელმან რა მიყო, პრესნას მწუნობენ ქალები.

დიმიტრი სააკაძეს მიერ მოწერილი: ჩემს მწყალობელს

ბატონს, თავადს მამუკა გურამოვს მიერთვას

ბარათი ც

პეტერბურს ზიხარ დარვიშად, ტანს წამოგისხამს ჩულები,
ჩვენ ხმას არა გვცემ, არ ვიცი, ვის ეშმაკს ეჩურჩულები.
ვინ გარდაგრივა წყეულმან, ვის მიეც შენი გულები.
მაგ შენის აგრე დუმილით აქ ვსხედვართ დანაწყლულები.

ეგ შენი ეგრეთ დუმილი ვერ შეგვიტყვია რაზია,
ვინ მოგველინა, ვინ არის, რა ფერი ანგელოსია?
როცა გესტუმროს, დაუხვდი, დაუკარ შენი საზია,
შენს საქმეს განკვირვებიან ევროპია და აზია.

მანდ გახლავს წმინდათ კრებული, არ ხარჭაშნელი მროველი,
შემოკრებულან მამანი, წინათ მხედველი ყოველი,
ღმრთის ხვეწნით მღვიძარებითა ცრემლით ღაწვნი აქვს
სოველი,
რაც სასწაული მათთა ქმნან, წვლილად მოწერას მოველი.

ბარათი ი

ჩვენ დაუტევეთ მოსკოვი, მოვედით მცირეს ოლესა,
პარუნ-მელქუაც აქ გახლავსთ, ფრანგული ხრმალი მოლესა,
შემოიხვივა მხმილაგნი, ვერავის ვნახავთ მწოლესა,
ხაჩიურსა ჰკრა ზიანი, კარი სრულ ამოულესა.
დღით და ღამ დგანან ფერხთზედა, გაიზახიან კოსესა,
ზოგნი არიან ბექთრითა, ზოგთ ჯაჭვნი შეიმოსესა,
უკვრენ ჩანგსა და ჩაღანას, ხმა ტკბილად გააქოსესა,
მაგრამ "დუბინისნ შიში აქვსთ, შკმწედ ჰხადიან მოსესა.
მამუკა გურამისშვილი მაგრა სდგას, ვითა ლოდია.
მეც გვერდთ ვახლავარ მებრძოლად, ჯერ არვინ დაგვიკოდია,
დავღონებულვართ ორნივე, გულს დაგვცემია ოჰ. დია,
არცა გვაქს სასმელ-საჭმელი და არცა ოქროს ზოდია.
ღმერთმან ქმნას, იყვნეთ მშვიდობით ნვსესვიატსნ მეოხებითა,
პრესნაში კიდევ მეხილვეთ თქვენს სასახლეში შვეებითა,
თუ თოვლმა წამოგვაყარა, ჩვენ აქ ვერ დაუდგებითა,
მიწიღამ ამოძრობილნი ვერსად ვერ გამოვდგებითა.

გიორგი ცარევიჩზედ თქმული მიხედვისამებრ
"ვსესვიატსკისნ დაბისა

ბარათი ე

აღმოსავლითკენ ხევნარი, ჩრდილი და ტურფა მწვანები,
დასავლით სჭვრიტეთ სამოთხვს, უცხოდ შემკული ვანები.
შუა-ტბა თევზით სავსეა, გასინჯეთ სიგრძე-განები,
თავ-ბოლო მაგრად დახშულო, მპარავს არვისა ვანები.
ესე არს მტილი. რომელი მეფის ქემ თვისად ინება,
შეამკო სრა და წალკოტი, მჭვრეტთა არ მოეწყინება.
წყარონი ტურფა მცენარნი, ტბას შესდის, გაედინება,
სევდისა მაქარვებელად მეც ამ ტბის პირზედ მინებაა.

რაცა მოვა ზეგარდამო, ყოვლი ბრძენი იმას სჯერა.
ცუდი არის მსახვრალთაგან რამლის ყრა და ცაში მზერა,
განგებთა მოვლენილსა ასცილდების ვერვინ ვერა,
საქართველოს მეპატრონე ბოლოს ამას დააჯერა.

მწუხარებით სავსე გულსა შეგონება არ ესმისა.
უცხოდ რითმე მოწყლულია. მას წამალი არ ესმისა,
იტყვის. ნნეტარ ვინ მიმიყვანს ასე მოწყლულს არეს მისან?
სხვა უმისო ვერ განჰკურნებს დაკოდილსა წყლულსა მისა.